

**ელმავლის მემანქანე 040776  
პროფესიული სტანდარტი**

**I. სფეროს აღწერა**

საშახტო საელმავლო წევა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია.

საშახტო ელმავლის მემანქანის საქმე პიროვნებაზე ორიენტირებული პროფესიაა და გულისხმობს საშახტო ტექნოლოგიების, განსაკუთრებით კი საელმავლო წევასთან უშუალოდ მოსაზღვრე ტექნოლოგიების ცოდნას;

საბადოს გახსნის, ხოლო შემდგომში საწარმოს ექსპლუატაციაში ყოფნის პერიოდში, ფუჭი ქანის და სასარგებლო ტვირთის ზედაპირზე ამოტანაში, სხვადასხვა მასალებისა და მექანიზმების ტრანსპორტირებაში, აგრეთვე ხალხის გადაყვანაში მონაწილეობას. ელმავლის ტექნიკურ მდგომარეობაზე უწყვეტ დაკვირვებას; მუშაობის პროცესში ხარვეზის გაჩენისას მის აღმოფხვრას და მომსახურეობის სრულყოფას.

**II. დასაქმების სფერო**

მოცემული სტანდარტის მიხედვით საშახტო ელმავლის მემანქანე არის სამთო საწარმოს პერსონალი, რომელიც მუშაობს დამოუკიდებლად და შეუძლია სხვადასხვა ტიპის ელმავლების სწორი ექსპლუატაცია.

**III. დამატებითი მოთხოვნები**

პრაქტიკის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

**IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია**

საშახტო ელმავლის მემანქანის პროფესია ერთსაფეხურიანია (III) და საფეხურისათვის დამუშავებულია შესაბამისი პროფესიული განათლების პროგრამა. საფეხურის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი. საშახტო ელმავლის მემანქანის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 60%.

ენიჭება ელმავლის მემანქანის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

**ელმავლის მემანქანეს მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი**

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცე-სებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართუ-ლებული ამოცანების შესასრულებლად აუცი-ლებელ ნაბიჯებს.</p>	<p>იცნობს ელმავლებში გამოყე-ნებულ ძრავებს, ცვლადი დენის გამართლებას, მართ-ვისა და დაცვის აპარატურას, იცის საშახტო ტრანსპორტის სრული სქემა, იცის ელმავ-ლის მოწყობილობა, სავალი ნაწილი, ჩასაბმელი მოწყობილობა, წამყვანი ლილვების ამძრავი, სამუხრუჭო სისტემა, გაც-ნობიერებული აქვს რა ადგი-ლი უკავია საელმავლო წევას საერთო საშახტო ტექნოლო-გიებში.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სფეციფი-კისათვის დამახასიათე-ბელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრუ-ლებლად სხვადასხვა მიდგომა</p>	<p>შეუძლია დენის წყაროებისა და წინაღობების მიმდევრობით, პარალელური და კომბინი-რელი შეერთება; შეუძლია ელექტრული სიდიდეების გაზომვა, მართვის აპარატუ-რით სარგებლობა. შეუძლია სამუხრუჭო სისტემის დარე-გულირება; შეუძლია ადამია-ნის დენით დაშვების შემთ-ხვევაში პირველადი დახმა-რების აღმოჩენა; შეუძლია ელმავლის მართვა. აქვს უნა-რი საკონტროლო-საზომი აპარატურის ჩვენების მიხედვით შეაფასოს და შეცვალოს ელმავლის მუშაო-ბის რეჟიმები</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციაში პრობლე-მის გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლო-ბა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>ელმავლის ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრე-ლად შეუძლია პრობლემის სწორად გაანალიზება და დასკვნის გამოტანა.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნი-კაცია პროფესისასთან დაკავშირებულ საკი-თხებზე განსხვავებულ სიტუაციაში, ეფექტი-ანად იყენებს პროფე-სიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინ-ფორმაციულ და საკო-მუნიკაციო ტექნოლო-გიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება</p>	<p>შეუძლია ელმავლის ექსპ-ლუატაციისას წარმოქმნილ განსხვავებულ სიტუაციებში ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია წინასწარ გა-ნსაზღვრული ამოცანე-ბის ფარგლებში საკუ-თარ სწავლაზე პასუ-ხისმგებლობის აღება</p>	<p>შეუძლია მესამე საფეხურის კვალიფიკაციისათვის საჭი-რო ცოდნის და ჩვევების სრულყოფილად ათვისება.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>განსხვავებულ სიტუ-აციებში მოქმედებს პროფესიული საქმია-ნობისათვის დამახასი-ათებელი ღირებულებე-ბის შესაბამისად</p>	<p>მოქმედებს სამთოელთა ტრა-დიციებისა და ჩამოყალი-ბებული ღირებულებების შესაბამისად. ესმის ადამი-ანური ურთიერთობების მნიშვნელობა ჯგუფური მუშაობისას. იცავს ეთიკურ და ჰიგიენურ ნორმებს, უსაფრთხოების წესებს.</p>